ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-73. 73262193**
თარიღი:**07/08/2026**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე

ჭიათურის მუნციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.
დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა (დანართი №1).

მუხლი 2.
განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.
ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა

1. ქალების მონაწილეობის/ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე

მიზანი: 1. მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა
2. საბჭოს წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
1.1 მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა	1. მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში დასაქმებულთა მონაცემების ბაზის შედგენა 2. საჯარო კონსულტაციებში (სოფლის მხარდამჭერ პროგრამებში) ქალთა ჩართვის უზრუნველყოფა	1. დასაქმებულთა რაოდენობა სქესის მიხედვით; 2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ქალთა რაოდენობა 3. საჯარო კონსულტაციებში ჩართულ ქალთა რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	2026-2027 წ.წ	ისმენს ანგარიშს და ამზადებს რეკომენდაციებს
1.2 საბჭოს წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება	ქალთა ლიდერობის მხარდამჭერი ტრენინგებისა და ღონისძიებების ორგანიზება	1. მონაწილე პირთა რაოდენობა სქესის მიხედვით	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	2026-2027 წ.წ	

2. ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ სტერეოტიპების აღმოფხვრა

მიზანი: 1. ქალისა და კაცის თანასწორობის შესახებ სტერეოტიპული აღქმებისა და დისკრიმინაციული მიდგომების შემცირება ადგილობრივ საზოგადოებაში.
2. თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
2.1. თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო და საგანმანათლებლო	1. ქალისა და კაცის თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან	2026-2027 წ.წ.	ითანხმებს საკომუნიკაციო მასალებს, ისმენს ანგარიშს

კამპანიების განხორციელება	კამპანიის ორგანიზება (შეხვედრები)	მონაწილეთა რაოდენობა.		ურთიერთობის განყოფილება		შესრულებული სამუშაოს შესახებ
	2. თანასწორობის საკითხებზე ნამუშევრების კონკურსის ორგანიზება (ესეები, ნახატები, ვიდეოები)	მონაწილე ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა, მ.შ. გოგო/ბიჭი	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	2026-2027 წ.წ	ისმენს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ

3. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

მიზანი: 1. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ადგილობრივ დონეზე
2. მეწარმე ქალთა მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელება

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
3.1. ადგილობრივ მეწარმე ქალთა მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელება	1. მეწარმეობისა და ბიზნესის მართვის ტრენინგების ჩატარება ქალებისთვის	ტრენინგებში მონაწილე ქალთა რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ეკონომიკის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს
	2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და დანერგვა	დაფინანსებული ქალების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	კოორდინაცია და მხარდაჭერა
	3. ფერმერებისა და მეწარმეების მონაცემთა ბაზის შექმნა და რეგულარული განახლება	ფერმერებისა და მეწარმეების რაოდენობა სქესის მიხედვით	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ეკონომიკური განვითარების, მოსაკრებლების და გრანტების სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს
3.2. ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ ეკონომიკურ და სასოფლო მხარდაჭერის პროგრამებში	1. ქალების წახალისება ადგილობრივ ბაზრებში, ეკონომიკურ ფორუმებსა და საგამოფენო სივრცეებში მონაწილეობისთვის	მონაწილე ქალების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ეკონომიკური განვითარების, მოსაკრებლების და გრანტების სამსახური	2026-2027 წ.წ.	კოორდინაცია და ზედამხედველობა

4. მუნიციპალურ სერვისებზე თანაბარი წვდომა

მიზანი: 1. მუნიციპალურ სერვისებზე ქალებისა და კაცების თანასწორი წვდომის უზრუნველყოფა
2. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესწავლა და მხარდაჭერის მექანიზმების ხელშეწყობა

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
4.1. მუნიციპალური სერვისების ანალიზი	1. მუნიციპალური პროგრამების ანალიზი 2. მუნიციპალური სერვისების მიმღებთა სქესისა და სტატუსის მიხედვით მონაცემთა შეგროვება	1. პროგრამების ანალიზის დოკუმენტი 2. ბენეფიციართა მონაცემები სქესისა და სტატუსის მიხედვით	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს
4.2. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესწავლა და მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება	1. მოწყვლად ჯგუფებთან (მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები / მეურვეები, დევნილი ქალები, შშმ ქალები) კონსულტაციების ორგანიზება	ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა;	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციებს
	2. მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის გადახედვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების ასახვის მიზნით	სამოქმედო გეგმაში ინტეგრირებული მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ან/და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს და ამზადებს რეკომენდაციებს

5. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მხარდაჭერა

მიზანი: ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი

5.1. თემის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ	საინფორმაციო კამპანიების ჩატარება თემში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე	საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა; თემის ინფორმირებული პირების რაოდენობა სქესისა და ასაკის მიხედვით	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის ადმინისტრაციული სამსახური	2026-2027 წ.წ.	ითანხმებს საკომუნიკაციო მასალებს, ისმენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ

6. ქალებისა და კაცების საჭიროებების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში

მიზანი: ქალების, კაცებისა და მოწყვლადი ჯგუფების თანასწორი ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
6.1. ქალების და მოწყვლადი ჯგუფების, ჩართულობის გაძლიერება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში	საჯარო განხილვების ორგანიზება ბიუჯეტის პროექტზე	ბიუჯეტირების პროცესში ჩართულ პირთა რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს და ამზადებს რეკომენდაციებს

7. ბავშვთა და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა

მიზანი: ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
7.1. ბავშვთა და ახალგაზრდების მონაწილეობის საკითხის შესწავლა და წინაპირობების გაუმჯობესება	ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში დასაქმებულთა ანალიზი ასაკისა და სქესის მიხედვით	მომზადებულია შესაბამისი ანგარიში	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს
7.2. ბავშვთა და ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერება მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით	ლიდერობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ტრენინგების ჩატარება ახალგაზრდებისთვს	1. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა 2. ტრენინგებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა, მ.შ. ქალი/კაცი	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	2026-2027 წწ	ისმენს ინფორმაციას აქტივობის შესრულების შესახებ

8. ბავშვთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლება
მიზანი: ბავშვის უფლებების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ საზოგადოებაში

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
8.1. ბავშვის უფლებების თემაზე საკომუნიკაციო ინიციატივების გაძლიერება	ბავშვის უფლებებზე ცნობიერების ამაღლების საჯარო კამპანიის ჩატარება	1. ჩატარებული საჯარო შეხვედრების რაოდენობა; 2. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა, მ.შ. ქალი/კაცი	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო; მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ
8.2.საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის უფლებების ინტეგრირება	1. სკოლამდელი/ სასკოლო ასაკის ბავშვებთან ბავშვის უფლებებზე შეხვედრების ჩატარება	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ
	2. ბავშვის უფლებების თემაზე ნამუშევრების კონკურსის კონცეფციის შემუშავება, ორგანიზება და ჩატარება	მონაწილე ბავშვების რაოდენობა, მ.შ. გოგო/ბიჭი	ადგილობრივი ბიუჯეტი	საბჭო	2026-2027 წ.წ.	

9. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაბილიტაციის მხარდაჭერა
მიზანი: ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ჩატარება

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
9.1. ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ჩატარება	ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მიმართული საინფორმაციო შეხვედრები	1. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; 2, მონაწილეთა რაოდენობა, მ.შ: ქალი/კაცი.	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება	2026-2027 წ.წ.	ისმენს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ, საჭიროების შემთვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს

10. ბავშვზე მორგებული მუნიციპალური სერვისების განვითარება

მიზანი: მუნიციპალური სერვისების ბენეფიციართა ასაკის/სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების დანერგვა

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
10.1. მუნიციპალური სოციალური სერვისების ბენეფიციართა ასაკის/სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების დანერგვა	მუნიციპალური სერვისების მიმღებთა ასაკის/სქესის/სტატუსის მიხედვით მონაცემთა შეგროვების კონცეფციის, ფორმის შემუშავება და რეკომენდაციები დანერგვაზე	1. შემუშვებულია მონაცემების შეგროვების კონცეფცია და ფორმა 2. დანერგილია მონაცემების შეგროვების ფორმა	ადგილობრივი ბიუჯეტი (ადმინისტრაციული ხარჯი)	საბჭო	2026-2027 წ.წ.	

11. შშმ და სსსმ ბავშვების საჭიროებების გათვალისწინება

მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მუნიციპალური სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი
11.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მუნიციპალური სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია	შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან	შეხვედრაში მონაწილეთა რაოდენობა (ქალი, კაცი, შშმ და სსსმ პირი)	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ

12. სკოლისგარეშე განვითრების ხელშეწყობა (დამატებითი საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ ღონისძიებებში ბავშვების ჩართვის ხელშეწყობა)

მიზანი: ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და განვითარების პირობების გაუმჯობესება მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით

ამოცანა	აქტივობა	შეფასების ინდიკატორი	დაფინანსების წყარო	შემსრულებელი	ვადა	საბჭოს როლი

12.1. სკოლისგარეშე განათლების (სახელოვნებო, შემეცნებით და სპორტულ) აქტივობებში ბავშვების ჩართულობის შეფასება	სახელოვნებო, შემეცნებით და სპორტულ კლუბებში ბავშვთა ჩართულობის მაჩვენებლების და ტერიტიორიული მოცვის შესწავლა (ასაკისა და სქესობრივი თანაფარდობის ჭრილში)	შესაბამისი ანგარიშის მომზადება	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს ტერიტორიული მოცვის გაზრდის შესახებ
12.2. ბავშვთა დასვენებისა და გართობის მუნიციპალური სივრცეების გაუმჯობესება	დასვენების პარკების და სივრცეების რაოდენობის / მდგომარეობის შეფასება; რეაბილიტაციის საჭიროებების იდენტიფიცირება	მომზადებულია შესაბამისი ანგარიში	ადგილობრივი ბიუჯეტი	მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური	2026-2027 წ.წ.	ისმენს ანგარიშს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს